გიგა აგლაძე: ყველაზე აქტუალური დღეს უნივერსიტეტის თემაა, რომლის დაფუძნებასაც ვაპირებთ

დამატების თარიღი **17:46, 15 ნოემბერი, 2017** **678**

დღეს, " თბილისი მერიოტში" ცნობილი ამერიკელი რეჟისორის, სცენარისტის, მუსიკოსის, პროდიუსერისა და დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის დევიდ ლინჩის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა.

როგორც პრესკონფერენციაზე " დევიდ ლინჩის ფონდი კავკასიის" პრეზიდენტმა გიგა აგლაძემ განაცხადა, ფონდის პირველ მიზანს ამ ეტაპზე უნივერსიტეტის გახსნა და A კლასის კინოფესტივალის დაარსება წარმოადგენს.

"გვაქვს სხვადასხვა კონკრეტული პროექტები, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებთ, ასევე გვინდა, რომ დავაფუძნოთ კინოფესტივალი, რადგან ამ ფონდში 250 არტისტია გაწევრიანებული. ამის მცდელობები არის, საუბარიც მქონდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენი ქვეყნისთვის ეს ძალიან მაგარი რაღაც იქნება. ყველაზე აქტუალური დღეს უნივერსიტეტის თემაა, რომლის დაფუძნებასაც ვაპირებთ. ესაა ჩვენი ძირითადი საქმიანობები კავკასიის რეგიონში.

დევიდმა სრული თანადგომა გამომიცხადა და თქვა, რომ იგი ჩამოვა საქართველოში, ვისაუბროთ მედიტაციაზე, ვისაუბროთ უნივერსიტეტის გახსნის თემაზე და იმ სხვა თემებზე, რომლებიც თქვენთვის აუცილებელი და საჭიროაო. ანუ, აბსოლუტური მხარდაჭერაა ამერიკული მხრიდან", – აცხადებს გიგა აგლაძე.

ცნობისთვის, დევიდ ლინჩის ფონდი 2005 წელს აშშ-ში თავად დევიდ ლინჩის მიერ დაარსდა. ძირითადი ფილიალები ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და უკრაინაში მუშაობს.

GIGA AGLADZE: TODAY THE MOST TOPICAL IS A UNIVERSITY THEME THAT WE ARE PLANNING TO ESTABLISH

A press-conference was held in Tbilisi Marriott today concerning the famous American film director, script-writer, musician, producer and one of the most famous representative of the independent film – David Lynch's visit in Georgia

As the president of David Lynch Foundation Caucasus – Giga Agladze announced on the press-conference, the first goal of the foundation is opening of the University and establishment of A-class Film Fetsinal.

"We have different concrete projects that we are going to execute. Also we want to establish a film festival as there are 250 artists who are united in this foundation. There are attempts for this. We also had negotiations about this. It will be a great thing for our country. Today the most topical is a University theme that we are planning to establish. These are our main activities in the Caucasus region.

David expressed his full support to us and said that he will arrive in Georgia. We'll speak about meditation, about opening of the university and all those topics that are important and necessary for you. There is a full support from the American side." – expressed Giga Agladze.

David Lynch Foundation was established in USA in 2005 by David Lynch himself. The main branches are located in USA, Great Britain, France and Ukraine.